www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ლომბარდების გამოკვლევის ძირითადი შედეგები

2017

წელი

30.03.2018

www.geostat.ge

30.03.2018

ლომბარდების სტატისტიკური გამოკვლევის ძირითადი შედეგები (2017 წელი)

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2017 წლის ბოლოსათვის საქართველოში სალომბარდო საქმიანობით დაკავებული 875 მოქმედი ორგანიზაცია[1] დაფიქსირდა. აქედან, 55,7% ქ. თბილისში მდებარეობს, 12,1% - იმერეთის რეგიონში, 9,9% - სამეგრელო-ზემო სვანეთში, 9,7% - აჭარაში, ხოლო დანარჩენი 12,6% სხვა რეგიონებში ფუნქციონირებენ.

ლომბარდების სალაროში არსებული ნაღდი ფულის მოცულობამ, 2017 წლის ბოლოსათვის 23,8 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის 79,8% გამოსახული იყო ეროვნულ ვალუტაში, ხოლო დანარჩენი 20,2% - უცხოურ ვალუტაში.

ლომბარდების საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები

ცხრილი №1

მაჩვენებლის დასახელება	№	სულ	მათ შორის:	
			ეროვნული ვალუტით	უცხოური ვალუტით
აქტივები (ათასი ლარი)				
ნაღდი ფული	1	23763,8	18970,9	4792,9
ბანკებში არსებული სახსრები	2	17663,8	8183,2	9480,5
მათ შორის:				
რეზიდენტ ბანკებში	3	17160,3	8176,8	8983,5
არარეზიდენტ ბანკებში	4	503,4	6,4	497,0
გაცემული სესხები	5	405831,9	262589,7	143242,2
მათ შორის:				
ფიზიკური პირებზე	6	391030,4	258263,1	132767,3
ფიქსირებული (ძირითადი კაპიტალი) და არამატერიალური აქტივები	7	16858,2	15959,7	898,5
სხვა აქტივები	8	30825,8	24925,3	5900,4
ვალდებულებები (ათასი ლარი)				
აღებული სესხები	9	393823,0	195331,4	198491,7

[1] ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა.

მაჩვენებლის დასახელება	№	სულ	მათ შორის:	
			ეროვნული ვალუტით	უცხოური ვალუტით
მათ შორის:				
რეზიდენტებიდან	10	297258,5	133023,7	165032,7
არარეზიდენტებიდან	11	96564,5	62307,6	34256,9
ფასიანი ქაღალდები	12	0,0	0,0	0,0
სხვა ვალდებულებები	13	22699,7	16536,5	6163,2
კაპიტალი (ათასი ლარი)				
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	14	47586,9	45915,3	1671,6
სხვა კაპიტალი	15	36659,8	33756,0	2903,8
დამატებითი ინფორმაცია				
მსესხებელთა რაოდენობა	16	609358	-	-
აქედან:				
ფიზიკური პირები	17	606875	-	-
სესხის საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი	18	45,4	46,2	32,7

2017 წლის ბოლოსათვის, ლომბარდებს ბანკებში განთავსებული ჰქონდათ 17,7 მლნ ლარის ფულადი სახსრები, მათ შორის 46,3% - ეროვნულ, ხოლო 53,7% - უცხოურ ვალუტაში.

აღსანიშნავია, რომ ბანკებში განთავსებული თანხის მთლიანი მოცულობის 97,1% რეზიდენტ ბანკებზე მოდის.

2017 წლის განმავლობაში გაცემული სესხების მოცულობამ 405,8 მლნ ლარი შეადგინა (მათ შორის 64,7% პროცენტი - ეროვნულ, ხოლო 35,3% - უცხოურ ვალუტაში). გაცემული სესხების 96,4% ფიზიკურ, ხოლო დარჩენილი 3,6% - იურიდიულ პირებზე მოდის.

ლომბარდების საკუთრებაში არსებული ფიქსირებული და არამატერიალური აქტივების მოცულობამ, 2017 წლის ბოლოსათვის 16,9 მლნ ლარი შეადგინა.

საინტერესო სურათს გვაძლევს ვალდებულებების ანალიზი. კერძოდ, 2017 წლის ბოლოსათვის ნასესხები ფულადი რესურსების მოცულობამ 393,8 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის თითქმის ნახევარი (50,4%) უცხოურ ვალუტაშია ნასესხები. ამასთან, სესხის 75,5% რეზიდენტებისაგანაა აღებული.

ლომბარდების 2017 წლის საბალანსო მოგებამ[2] 47,6 მლნ ლარი შეადგინა, აქედან 73,1% თბილისში მოქმედ ლომბარდებზე მოდის, ხოლო დანარჩენი სხვა რეგიონებზე ნაწილდება:

[2] გადასახადების გადახდამდე და გაუთვალისწინებელ ხარჯებამდე.

საბალანსო მოგების სტრუქტურა რეგიონების მიხედვით, 2017 წელს



საქართველოში მოქმედ ლომბარდებში, 2017 წლის განმავლობაში მსესხებელთა (კლიენტთა) რაოდენობა 609,4 ათასი ერთეულით განისაზღვრა. აქედან თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა (დაახლოებით 99,6 პროცენტი) ფიზიკური პირია.

ქვემოთ მოტანილი გრაფიკი ასახავს მსესხებელთა პროცენტულ განაწილებას რეგიონების მიხედვით:

მსესხებელთა (კლიენტთა) განაწილება რეგიონების მიხედვით, 2017 წელს



სესხის საშუალოწლიურმა შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 45,4% შეადგინა. მისი წილი ეროვნულ ვალუტაში 46,2%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში 32,7%-ით განისაზღვრა.

საშუალოწლიური შეწონილმა საპროცენტო განაკვეთის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 73,4% შიდა ქართლის რეგიონში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დაბალი - 29,2% სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში:



რეგიონების მიხედვით გაცემული სესხების ყველაზე მაღალი წილით ხასიათდება თბილისი (67,8%), აჭარა (13,0%), იმერეთი (8,3%), სამეგრელო-ზემო სვანეთი (5,7%) და ქვემო ქართლი (3,3%).

ანალოგიური ტენდენცია ფიქსირდება რეგიონების მიხედვით აღებული სესხების მთლიან მოცულობაშიც. აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე მაღალი წილით წარმოდგენილია თბილისში (76,1%), აჭარაში (9,9%), იმერეთში (4,8%), სამეგრელო-ზემო სვანეთსა (4,4%) და ქვემო ქართლში (2,8%).

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს რეგიონების მიხედვით (თბილისის გარდა) 2017 წლის განმავლობაში ლომბარდების მიერ გაცემული და აღებული სესხების მოცულობას:



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge